ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ივნისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 110 (10 279) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ITALIA'90

„ე“ ჯგუფი: ბელგია — სამხრეთ კორეა 2:0 (0:0)

„ვ“ ჯგუფი: ჰოლანდია — ეგვიპტე 1:1 (0:0)

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ჩემპიონატი სავსეა მოულოდნელობებით

მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის თითქმის ყოველ ახალ ტურს, ახალ მატჩს მოულოდნელი შედეგები მოაქვს.

სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება ჰოლანდიისა და ეგვიპტის გუნდების 12 ივნისის შეხვედრა. ჰოლანდია ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, ევროპის ჩემპიონთა შემადგენლობაში გამოდიან ექსტრა-კლასის ოსტატები, რომელთა სახელები ფართოდ ცნობილია საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში, თითოეული მათგანი ოქროს ფასად ფასობს. რაც შეეხება ეგვიპტეს, მას არა ჰყავს რამდენადმე მაინც ცნობილი, გამოჩენილი ვარსკვლავი, ეგვიპტელებმა, უბრალოდ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და ეგაა მათი „ალფა და ომეგა“.

მაგრამ, ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, რომ ყველაფერი ისე არ მიმდინარეობს, როგორც ჩვენ გვგონია, წინასწარ განსაზღვრული, „დაპროგრამებული“ მატჩები სულ უფრო ცოტაა და, საერთოდ, მსოფლიო ფეხბურთში გრძელდება ძალთა გათანაბრების პროცესი. ყურადღებით ვადევნეთ თვალი ჰოლანდიისა და ეგვიპტის გუნდების თამაშს და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინდორზე ორი დაახლოებით ერთნაირი ძალის მეტოქე იბრძოდა. ეგვიპტელები სტატისტების როლში ყოფნას სულაც არ აპირებდნენ და

იხ. გვ. 3



იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი. პალერმო. მატჩი №11. ჰოლანდია — ეგვიპტე. სურათზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა ჰოლანდიელი რონალდ კუმანისა (თეთრი მაისურით) და ეგვიპტელი ჰასამ ახანის ბრძოლაში ჰოლანდიელმა წესი დაარღვია (სპანეთი) 11-მეტრიანი დანიშნა. ეგვიპტელებმა ანგარიში გაათანაბრეს — 1:1.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო

ქართული სპორტის პროპაგანდისთვის

მსოფლიომ შნდა გაიგოს

ძვირფასო მეგობრებო, ქართული სპორტი სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გზით მიდის. დადგა დრო მისი წარსული და აწმყო გავაცნოთ მთელ მსოფლიოს სპორტულ სამყაროს, ვაუწყოთ ყველას და, რაც მთავარია, დავაჯეროთ ისინი, რომ ჩვენც გვაქვს უფლება პლანეტის ერთიანი ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიან წევრად ვიწოდებოდეთ.

სამწუხაროდ, მსოფლიოში ბევრმა არ იცის, ჩვენ, პატარა ქვეყნის მცირერიცხოვანი ერის შვილებს რა სპორტული მემკვიდრეობა და შესაძლებლობები გაგვაჩნია. დაუშვებელია, რომ დღემდე ქართული სპორტის არავითარ მიზანმიმართულ პროპაგანდას არ ვეწეოდით. არ გაგვაჩნია უცხო ენაზე სარეკლამო ბუკლეტებიც კი, აღარაფერს ვამბობთ ვიდეოფილმზე. ქართული სპორტის პროპაგანდისთვის არც საერთაშორისო სპორტულ კონტაქტებს და შეჯიბრებებს ვაყენებთ ეფექტურად.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა განიხილა რა ქართული სპორტის მსოფლიოში პროპაგანდის საკითხი, მიიღო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოსცეს საცნობარო ილუსტრირებული ბუკლეტი მასობრივი ტირაჟით ინგლისურ ენაზე, რომელსაც ჩვენი სპორტსმენები, სპეციალისტები და ჟურნალისტები საზღვარგარეთ წაიღებენ ყველგან, სადაც წავლენ და ამ გზით მსოფლიო სპორტულ სამყაროს გააცნობენ ქართულ სპორტს.

ბუკლეტი უნდა დაიბეჭდოს სასწრაფოდ, რათა პროპაგანდისთვის გამოყენებულ იქნეს ისეთი უდიდესი კომპლექსური სპორტული ასპარეზობა, როგორიცაა „კეთილი ნების თამაშები“. ეს უდიდესი სპორტული ფორუმი, როგორც ცნობილია, სულ მალე გაიმართება სიეტლში. საქართველოს სპორტსახკომისაგან სრული გარანტიაა სეოკ-ს ბუკლეტის ოპერატიულად გამოცემებსა და დაფინანსებაში.

სეოკ-მა შექმნა მაღალკვალიფიციურ სპორტულ ჟურნალისტთა დაფოტოხელოვანთა ჯგუფი, რომლის წევრები უკვე შეუდგნენ ბუკლეტის საცნობარო და ფოტომასალების შეგროვებას. მხატვრად საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტი ვახტანგ რურუა მოიწვიეს.

ფინიშიც გამოჩნდა

ხულ ორი ტურიდა დარჩა მოჭადრაკე ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის დამთავრებამდე. შესანიშნავად თამაშობს თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრე დგებუაძე, რომელმაც XIII ტურში კვლავ გაიმარჯვა — ამჯერად შავი ფიგურებით თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ზაზა ხოფერია დაამარცხა. ახლა დგებუაძეს 9,5 ქულა აქვს და ქულაც ჰყოფნის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. რაც შეეხება იმას, თუ ვინ შეძლებს საპრიზო ადგილებზე გასვლას, მას ბოლო ორი ტური გადაწყვეტს.

XIII ტურში შოთა კუჭუხიძემ სძლია კახა შალამბერიძეს, ხოლო გია ბაღათურიამ — კახა ხაბურზანიას და ახლა ისინი ქულანახევრით ჩამორჩებიან დგებუაძეს. გივი გოგიჩაიშვილმა დაამარცხა თამაზ ტაბატაძე. მას 7,5 ქულა აქვს. ასევე 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს ნუკრი მანგაძემ, იანის პოპოვმა და მიხეილ კეკელიძემ.

გიზო ჭურღულია დაუზავდა ხვიჩა სუპატაშვილს.

შედგა XI ტურის გამოტოვებული პარტია გივი გოგიჩაიშვილსა და კახა შალამბერიძეს შორის, რომელიც ყაიმით დამთავრდა.

ვასილ ვაშაკიძე.

მეექვსე ტური

აზოვი ...ოვის ოლქი). მოჭადრაკე ქა... მსოფლიო ჩემპიონატის საზო... რისო ტურნირის მეექვსე ტ... ქეთევან არაბამია ჩეხოსლ... კელ ელიშკა კლიმოვას შეხ... და დამარცხდა, მეორე თბილ... ლმა მოჭადრაკემ ქეთევან კახიანმა მორიგი შეხვედრა ბელგიელ ფაინგოლდთან ყაიმით დაამთავრა.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერობა სამეული ასე გამოიყურება: კლიმოვა — 5 ქულა, ილდიკო მადლი (უნგრეთი) — 4,5 ქულა, კახიანი — 4 ქულა.

მიზანი — დამოუკიდებლობა

ამაში ერთსულოვანნი იყვნენ საქართველოს კრივის ფედერაციის კონფერენციის დელეგატები, რის შედეგადაც ფედერაცია იქცევა ისეთ ორგანიზაციად, რომელსაც დამოუკიდებელი საერთაშორისო კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა მიეცემა. ითქვა იმის შესახებაც, რომ სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას ჩვენში უკვე ბევრი მიმდევარი ჰყავს. განსაკუთრებით იგრძნობა ეს რესპუბლიკის პერიფერიაში. სამწუხაროდ, ადგილებზე ოსტატობის ასამაღლებლად არავითარი ხელშეწყობა და მატერიალური ბაზა არ გააჩნიათ. საჭიროა სპონსორებიც, რაც დიდად შეუწყობს ხელს ახალი კადრების აღზრდას.

საქართველოს კრივის დამოუკიდებელი ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭაძე.

თეა ლანჩავა

გამარჯვებასთან ახლოა

სინგაპური. დასასრულს უახლოვდება მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი ორ ასაკობრივ ჯგუფში. 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ლიდერობას ინარჩუნებს ჩვენი თანამემამულე თეა ლანჩავა. მას 7,5 ქულა აქვს და უახლოეს მეტოქეს ანა სეგალს ერთი ქულით უსწრებს. ამავე ასაკის ბიჭებში დაწინაურდნენ ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი და საბჭოთა მოჭადრაკე კონსტანტინე საკაევი.

თვრამეტ წლამდე მოჭადრაკე ვაჟთა შორის სერგეი ტივიაკოვს, ფაქტიურად, განაღდებული აქვს გამარჯვება. 9 ტურის შემდეგ მან 8,5 ქულა დააგროვა და ახლა მიზნის მისაღწევად ორ პარტიაში ნახევარი ქულაც ჰყოფნის. უახლოეს კონკურენტს ტივიაკოვი 1,5 ქულას უგებს. გოგონებში ლიდერობენ რუმინელი ელენა რადუ და უნგრელი ჩოკაანდრიენი — 7-7 ქულა თითოეულს. იულია ლევიტანი (სსრ კავშირი) მათ 1 ქულით ჩამორჩება.

იურმალას კორტებზე

დიდი ჩემპიონობა პატარით იწყება. ამიტომ გვახარებს განსაკუთრებით ახალგაზრდა ქართველ სპორტსმენთა წარმატებები. ასე იყო ამჯერადაც იურმალაში, სადაც გაიმართა მოზარდთა საერთაშორისო ტურნირი (1974-75 და 1976-79 წ. წ. დაბადებულნი) ჩოგბურთში.

თავი ისახელა თბილისის 161-ე საშ. სკოლის მეშვიდეკლასელმა ირაკლი ქუნჭულიამ (მწვრთნელი დ. ნოზაძე), რომელმაც გაიმარჯვა ერთეულთა შეჯიბრებაში, გოგონათა შორის მეორე ადგილზე გავიდა თბილისის 168-ე სკოლის მეცხრე კლასელი მაია აბაშიძე (მწვრთნელი გ. ახალაძე).

ორივე ჩოგბურთელი თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღსაზრდელია.

„ლელოს“ კორ.

გუშინ ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გამოვლინდა ოთხი საუკეთესო გუნდი, რომლებიც საქართველოს X საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ კალათბურთელ ქალთა ტურნირის ოქროს მედლებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა:

ქუთაისი — სოხუმი 110:66; ჭიათურა — გორი 49:42; რუსთავი — სამტრედია 54:36; თბილისი — ბათუმი 76:36.

სამი დღის ასპარეზობის შედეგად ფინალურ ეტაპზე ბრძოლის უფლება მოიპოვეს ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და თბილისის გუნდებმა. ფინალური შეხვედრები დღეს და ხვალ გაიმართება. დასაწყისი 13 საათზე.

ხურათზე: თბილისელი და გორელი კალათბურთელთა ასპარეზობის მომენტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



მაგალითს იძლევიან პრეზიდენტები

...**ყველაფერი** იყო: შეჯიბრების ტრადიციული აფიშა, სპეციალური დაზგა-მაგიდები (ისინი უმოკლეს ვადაში დაამზადეს თბილისელმა ავტომშენებლებმა), მსაჯები, დიალომები, ფასიანი პრიზები, მოზრდილი ფულადი ჯილდო, 100-მდე მონაწილე... აი, მაყურებელი კი ერთობ ცოტა ესწრებოდა.

— მოგეხსენებათ, ეს ჩვენი პირველი ოფიციალური ასპარეზობაა — საქართველოს ინვალიდ სპორტსმენთა პირველი ეროვნული ჩემპიონატი მკლავჭიდში — და მინდა ვიფიქრო, მაყურებელი შემდგომში უფრო დიდ ინტერესს გამოიჩენს — იმედიანად ამბობს საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა სიხარულიძე.

— თავადაც ხომ არ მოსინჯავდით საკუთარი მკლავის ძალას? — შევეკითხეთ პრეზიდენტს.

— რატომაც არა! აბა, მე და გიორგი ძნელაძემ, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა, თუ არ მივეცით მაგალითი დანარჩენებს....

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, ისინი მართლაც გამოვიდნენ „ცეცხლის ხაზზე“ — ორივემ მოიპოვა გამარჯვება ძლიერ მეტოქესთან, მაგრამ შემდგომ, სამწუხაროდ, გამოეთიშნენ ბრძოლას.

ასპარეზზე ამ დღეს მრავალი კუნთმაგარი ინვალიდი ვიხილეთ — არა მარტო თბილისიდან, არამედ ვანიდან (6 მონაწილე), ბათუმიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან (5-5), ბორჯომიდან, თერჯოლიდან, დუშეთიდან (4-4), ახალციხიდან (3), ხულოდან (2) და სხვა.

ვერეს ბაღის კალათბურთის სასახლის (იგი ქველმოქმედების წესით გამოჰყო შეჯიბრებისთვის განათლების სამინისტრომ) თაღებქვეშ გაისმა ყველა ქართველისათვის საყვარელი და სანუგეშო ილიასეული „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომლის თანხლებით აღიმართა სამფეროვანი დროშა — ამ შემთხვევაში შეჯიბრების ალამი.

გულთბილად მიესალმნენ მოასპარეზეთ ინვალიდთა ასოციაციის თანაპრეზიდენტი თინათინ ჭედია, სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ დიდებულიძე, მკლავჭიდის რესპუბლიკური ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ვახტანგ მუსელიანი და სხვები. შეჯიბრებას ესწრებოდნენ სახელოვანი ქართველი სპორტსმენები — ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონები დავით ციმაკურიძე და მზია ჯუღელი, ევროპის ჩემპიონი დიტო შანიძე, აქვე იყვნენ რესპუბლიკისა და ქალაქის სპორტკომიტეტების ხელმძღვანელები, საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები გუნდის წევრები.

ორ წონით კატეგორიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ათლეტები — საშუალო (80 კილოგრამამდე) და მძიმე (80 კგ ზემოთ). უნდა გამოვლენილიყო აგრეთვე აბსოლუტური ჩემპიონები ცალ-ცალკე მარჯვენა და მარცხენა ხელის გადაძალვაში. ერთი სიტყვით, სარბიელზე სრული დემოკრატია იყო: არავინ იზღუდებოდა არც მკლავის, არც წონის და არც ასაკის მხრივ. მონაწილეთა შორის ვიხილეთ... 1917 წელს დაბადებული (73 წლის) ბიოლოგი და მხატვარი მიხეილ ვარიშვილი და 16 წლის ახალდაბელი მოსწავლე გიორგი მანჯავიძე. ორივეს — შეჯიბრების უხუცეს და ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს — საგანგებო პრიზები გადაეცა.

ყველაზე მეტი მონაწილე — 62 მაინც საშუალო წონაში მარჯვენა ხელით მოასპარეზეთა შორის იყო. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს მკვიდრმა, 23 წლის ფიზიკულტურის მეთოდისტმა რაინდი ბახტიძემ. გადამწყვეტ შეხვედრაში მან დაამარცხა ვალერი გულაროვი, მესამე იყო ნოდარ რეხვიაშვილი. ამავე წონაში მარცხენა ხელით მოასპარეზეთა შორის ბევრი გულშემატკივრობდა ჟინვალელ (დუშეთის რაიონი) ზურა ალუდაურს. ამ ინვალიდ სპორტსმენს შეჯიბრების მეორე დღეს დაბადებიდან 21 წელი უსრულდებოდა და ზურამაც საუკეთესო საჩუქარი გაუკეთა საკუთარ თავს — ჩემპიონობა მოიპოვა. ფინალში მან სძლია საგარეჯოელ სოლომონ ჯამალაშვილს, მესამე შედეგი ჰქონდა ბესიკ გიორგობიანს.

130 კილოგრამს იწონდა გორის რაიონის სოფელ ნიქოზიდან ჩამოსული, 42 წლის აგრონომი ოთარ მჭედლიძე. ამ გოლიათმა ინვალიდმა ყველას სძლია მძიმე წონაში მარჯვენა ხელით შეჯიბრებაში. ამ კატეგორიაში მეორე იყო ალეკო მამალაძე, მესამე — ამირან საგინაძე.

შეკრებილთა არანაკლები სიმპათია დაიმსახურა 62 წლის გარდაბნელმა ექიმმა ვანო თინაშვილმა. იგი უძლიერესი იყო მძიმე წონაში მარცხენა ხელით მოასპარეზეთა შორის. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ოლეგ გაბიტაშვილი და ანზორ ტაბატაძე.

და აი, ოთხმა გამარჯვებულმა აბსოლუტური ჩემპიონობა გაითამაშა. მარჯვენა ხელით მოასპარეზეთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოთარ მჭედლიძე და რაინდი ბახტიძე. გაიმარჯვა ო. მჭედლიძემ. „მემარცხენეთა“ გადამწყვეტ შეხვედრაში აბსოლუტური პირველობა გაითამაშეს ვანო თინაშვილმა და ზურა ალუდაურმა. დაძაბულ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა ვ. თინაშვილმა, რომელსაც ო. მჭედლიძის მსგავსად მთავარ პრიზთან ერთად ჯილდოდ 1000 მანეთიც გადაეცა.

როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი შერმადინმა გვითხრა, ამ ტურნირის შედეგების მიხედვით შეირჩევიან საუკეთესო ქართველი ინვალიდი სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის დიდ საერთაშორისო ტურნირში მკლავჭიდში. ეს შეჯიბრება 18-19 აგვისტოს გაიმართება მოსკოვის ძველი ცირკის სარბიელზე ე. წ. ცვეტნოი ბულვარზე.

ოთარ ოთარაშვილი.

ეძებენ სპონსორებს...

ამას წინათ საქართველოს მინისტრთა საბჭომ ოფიციალურად გაატარა რეგისტრაციაში მკლავჭიდის რესპუბლიკური ფედერაცია, რომლის თავმჯდომარეა სახელგანთქმული ქართველი ფალავანი — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა ლომიძე, ხოლო ტექნიკური დირექტორი — ვახტანგ მუსელიანი.

შექმნილია აგრეთვე საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები, რომელიც კვირაში სამჯერ ვარჯიშობს ასკოს დარბაზში (კენტ დღეებში 16 საათიდან). ნაკრების ხელმძღვანელები ძალის მოსასინჯად იწვევენ მსურველებს, ამასთან, ეძებენ სპონსორებს, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ მკლავჭიდელებს.

ბარუქმოთ ერეკვანეთის გულები...

7 ივნისი რესპუბლიკაში გლოვის დღედ გამოცხადდა. ტრაგედიის მსხვერპლთ დიდი პატივი მიაგო ქართველმა ხალხმა. სიმბოლური იყო, რომ სწორედ ამ დღეს თბილისის სპორტკომიტეტმა მოინახულა რესპუბლიკის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრში მყოფი ტრაგედიაგანცდილნი და საჩუქრები გადასცა მათ. დაშავებულთა უმეტესობა ბავშვები არიან, ახალციხის მეხუთე საშუალო სკოლის მე-7ა კლასის მოსწავლეები: რომან ინასარიძე, ნოდარ კურტანიძე, იზა შარბატოვი, გურამ დონაძე, ზურაბ ზედგენიძე, თეა ზედგენიძე, თემურ ბალიაშვილი, თბილისის 182-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი დავით არუთინოვი. ცვაპატიეთ ბავშვებო, თუ ბავშვთა დღეს მისაღები საჩუქრები გლოვის დღეს გადმოგეცით.

ფეხაკრეფით დავდივართ პალატიდან პალატაში. გვიჭირს სიტყვის თქმა — რა უნდა უთხრა ბავშვებს, რომლებსაც შენზე მეტი აქვთ გადატანილი, რითი უნდა ანუგეშო. ექიმები ყოველ ღონეს ხმარობენ მათი სწრაფი გამოჯანმრთელებისათვის და აქვთ კიდეც იმედი. ავადმყოფებიდან კი ყველაზე ყოჩაღად თემურ ბალიაშვილი გამოიყურება. ასეც უნდა იყოს, სპორტსმენი ბიჭია, ახალციხის ფალავანი ჭიდაობაში, კარატეში კი — მეორე ადგილი უკავია.

— რომელ წონით კატეგორიაში გამოდიხარ?

— სუსტი ვარ და მძიმე წონაში გამოვდივარ, — იუმორის გრძნობას არ კარგავს თემური.

მერე გვიამბობს, როგორ მოიყვანეს საავადმყოფოში. პალატაში „ქალაქელები“ დახვდნენ, სუსტი, გაჩხინკული ბიჭები. თემურისთვის უთხოვიათ, გვასწავლე რას ჭამ, ცოტათი ჩვენც გვინდა გავსუქდეთო.

— „კომბიკორმა“ ჭამეთ-მეთქი, — სხვა რა უნდა მესწავლებინა — თავს იმართლებს ბიჭი.

საოცრად გადაურჩა სიკვდილს იკიბასტუსელი ვალია ილიჩოვი, რომელიც წყალტუბოში იყო დასასვენებლად და ექსკურსიას ჩამოჰყვა თბილისში. მას ჩვენი გოგონები უვლიან, ყოველ დღე მოდიან მორწმუნეები და სითბოს და სიყვარულს არ აკლებენ. აუცრემლიანდა ავადმყოფს თვალები, როდესაც ბატონმა ვლადიმერ კანკავამ წითელი ვარდები გადასცა.

ამ დღეს დავრწმუნდი, რა ცოტაა საჭირო, რომ ადამიანს აჩუქო ბედნიერი წუთები, აგრძნობინო დიდი სიყვარული და გულის სითბო.

ინგა აფციაური.

ქართული პრესა წერდა...

„დროების“ კორესპონდენცია

„ხიზაბავრა.. უწინ, ძველის-ძველად ბევრ ნაირი საგმირო ვარჯიშები იყო ჩვენს სამესხო საქართველოში, რომელთა უმეტესი ნაწილი დღესაც არის დაშთენილი, უფრო სამესხეთოს ერობაში. არგონავოსანთ შემოსვლისას კოლხიდაში 1260 წლის წინ ქრისტეზედ განითქვა ბერძნული ვარჯიშობა, იაზონის თანხლებული გმირებისაგან დაშთენილი; იმ დროს ხმარებულს ბერძნების საგმირო ვარჯიშებში პირველი იყო „არგიული“, რომელიც შემოვიდა კოლხიდაში, მეორე „ისტმიური“, მესამე „ბიეთიური“, მეოთხე „ნეემიური“. ეს ვარჯიშები შემდგომში ელისელმა იმიტომ გარდააკეთა „ოლიმპიურ“ ვარჯიშად, ოლიმპიის ქალაქის მახლობლად 888 წლის წინად ქრისტ. და ამისათვის მიიღო ოლიმპიის წოდება. მით მისი ქორონიკონი დაწესდა 776 წლის წინ ქრისტეზედ.

ამ ვარჯისში ა) იყო ჭიდაობა. ჯერ ტანისამოსით და შემდგომ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა. ზეთს წაისვამდნენ წელ-ზემოდ და წმიდა სილას (ქვიშას) შეიყრიდნენ ტანზედ, რომ შესძლებოდათ ხელის მიკიდება.

ბ) მჯიღვით ბრძოლა. მაგარ ტყავის თათმანებს ჩაიცვამდნენ თითებრით მოჭედილ [illegible] ისე ურტყამდნენ ერთმანეთს [illegible]-პირში.

გ) მხარდაგვედრა [illegible]ად გაიყოფებოდნენ ხელ-ფეხ მ[illegible]კე ვაენი; ერთი რიგი წრეს შიგ[illegible] იყო, მეორე წრეს გარედ. უკანასკნელნი ცდილობდნენ საშუროდ ჩაჩი მრეტაცათ შიგანაებისგან და ისინიც მოოთხვით ერთსა და ერთ ფეხს გარდასცხებდნენ, წრეს გარედ, თუ მოერტყმიათ, ის მხარე გაჭრილად დაითვლებოდა; მაშინ გარენი წრეში შევიდოდნენ და შიგანაები გარედ მოექცეოდნენ. როცა გარე რომელიმე ჩაჩს მოსტაცდა შიგანას, გაცვლდებოდნენ გარენი ერთიან დანშნულ დონამდის გასატანად, შინანებიც დაედევნებოდნენ; დონამდის თუ დაიჭერდნენ, ჩაუფუჭებდნენ გარეეს გამარჯვებას, თუ არა და გარენი თავისას გაიტანდნენ.

დ) ქოფი. აქაც წრეში შესულთ მხარესა ერთ წრეს შუა ამოთხრილს ფოსში ჩასდგამდა ფეხს; გარეთაგანი, რომელიც ამას ფეხითგან ფეხს მოაცლევინებდა და თვითონ ჩასდგამდა, მისი მხარე მოიგებდა.

ე) ქალის გაქცევანი. ჩუმად აქეთა მხარი რაღაცა ნიშნიან მჩვარს დამალავდნენ ერთ ერთში და რომელიც გაქცევაში ერთის დონითგან მეორე დონაზედ გაიტანდა, ის გაიმარჯვებდა.

ვ) ბურთობანი.

ზ) რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ ეტლებით.

თ) თულოწრე.

ი) ქვის სროლა ფიქალისა ორის ხელით თუ ლოდებისა აწევ-დაწევა. ამათ რიცხვში ისრილის სროლა და ჯირითისა.

აი ეს ვარჯიშები სრულდებოდა ცხრა-წყაროს. თვითოეულ ამ ვარჯისს წარმართულად თავიანთ წყაროს წყალი ჰქონიათ მიჩენილი სასმელად. ერთის ვარჯისის ამომგები მხარე დაღალულობის შემდგომ მეორე ემრჯისის წყალს დალევდა თურმე, ყველას თითო-თითოდ თვითოჯერ ვარჯიშს შემდეგ იმ ერთი წყაროდგან უნდა ესვათ რიგ-რიგისად.

გამარჯვებულს ფიქვის ტოტებიდგანა შედგენილის გვირგვინით დაჯილდოებდნენ, ან დაფნისა და ძეწნისა. გარდა ამისა იყვნენ ვარჯისად: კუნძის თრევა, მძიმე ნივთების აწევა, ხტომა, თავმოვლა, ჯორებუნა, ციხებუნა და სხვა მრავალი გვარი, რომელიც დღესაც ხმარებულია დიდი წილი სამესხეთში თითქმის ყოველგან; მაგრამ კი დღითი-დღე ცვდება ეს დიდად სასარგებლო ჩვეულება საზოგადოდ და დავიწყებაზედ მიდის“.

„დროება“, 1882 წ. 17 ოქტომბერი (№217)

ხელს აწერს „ვინმე მესხი“.

მოგვაწოდა
სულიკო ნუცუბიძემ.

გიმნაზიადა-90



ეცირე შეცდომა რომ არა...

საინტერესო სპორტული შეჯიბრება ტარდება ბელგიის ქალაქ ბრიუგეში. ეს გახლავთ, ეგრეთ წოდებული, ბავშვთა მსოფლიო გიმნაზიადა. იგი ოთხ სახეობას მოიცავს — მძლეოსნობას, ცურვას, მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშს. ამჯერად ბელგიის ამ ლამაზ საკურორტო ქალაქში გაიმართა რიგით მეცხრე გიმნაზიადა. მასში პირველად მიიღეს მონაწილეობა საბჭოთა სპორტსმენებმა.

სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ტურნირში ჩვენი სპორტსმენიც — თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელი, 17 წლის სპორტის ოსტატი ვალერი ოგანეზოვი (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ედუარდ ექსუზიანი) მონაწილეობდა. 30 ქვეყნის 80 ტანმოვარჯიშე შეეჯრიბა ადგილობრივ სპორტდარბაზში.

თბილისელმა ოსტატმა საკმაოდ კარგად იასპარეზა და მრავალჭიდში მესამე ადგილზე გავიდა — 54,7 ქულა. მხოლოდ თავისუფალ ვარჯიშში დაშვებული მცირე შეცდომის გამო დაკარგა მან პირველობა, რომელიც იტალიელმა რ. გალიმ მოიპოვა — 55,0. მეორე იყო მისი თანამემამულე დ. გლანგრეგორი — 54,95.

ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებისას ვ. ოგანეზოვმა ორძელზე „ვერტლი“ დაისაკუთრა — 9,25.

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

(დასასრული)

რამდენიც არ უნდა ვიმეოროთ გულიტის, ვან ბასტენის, რაიკაარდის, კუმანის, ვანენბურგისა და სხვათა მაგიური სახელები, ევროპელი ფეხბურთელები მათ დიდად არ ჩამორჩებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, ამ მატჩში ეს ასე იყო, ისიც ნურავის გაუკვირდება, თუ ზოგიერთ ევროპელ ფეხბურთელს მერმის ცნობილ პროფესიულ კლუბებში ვიხილავთ...

ჰოლანდიელებმა საკუთარ ძალებში დაჯერებულად დაიწყეს თამაში, ეგვიპტელები სრულიად ძალდაუტანებლად, იოლად იგერიებდნენ მათს იერიშებს, მაგრამ შემდეგ თამაში გათანაბრდა და ახლა ცნობილ მეკარე ჰანს ვან ბრეკელენს მოუხდა თამაშში ჩაბმა. ეს უაღრესად დაძაბული, საინტერესო მატჩი იმით დამთავრდა, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელის ვამ კიფტის მიერ 58-ე წუთზე გატანილი ბურთი 82-ე წუთზე 11-მეტრიანით გაქვითა მაგდი აბდელ ხანიმ და ჰოლანდიელებმაც ერთი ქულის დანაკლისით დაიწყეს ჩემპიონატის მძიმე გზა — 1:1.

ამავე დღეს ვერონაში ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიისა და სამხრეთ კორეის გუნდები. სამხრეთკორეელებმა პირველ ტაიმში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს, მაგრამ შესვენების შემდეგ დაიღალნენ და ორი ბურთი გაუშვეს მარკ დეგრისისა (52-ე წუთი) და მიშელ დე ვოლფის (64-ე წუთი) დარტყმების შემდეგ.

გუშინ უდინეში შედგა ჩემპიონატის მორიგი მატჩი ურუგვაისა და ესპანეთის გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

„ე“ ჯგუფი

ბელგია	●	2:0		
სამხ. კორეა	0:2	●		
ურუგვაი			●	
ესპანეთი				●

„ვ“ ჯგუფი

ინგლისი	●	1:1		
ირლანდია	1:1	●		
ჰოლანდია			●	1:1
ეგვიპტე			1:1	●

ფავორიტთა შანსები იცვლება

განვლო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველმა მატჩებმა და ფავორიტთა შანსებიც შეიცვალა, როგორც ლონდონელი ბუკმეკერები იუწყებიან, მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა იუგოსლავიის გუნდთან შეხვედრაში, იგი პირველ ფავორიტად იქცა, მისი შანსები ახლა შეფასებულია როგორც 1:3,5-თან. შემდგომ ადგილებზე არიან იტალია (1:4), ბრაზილია (1:5), ჰოლანდია (1:6). სსრკავშირის გუნდთან შეხვედრის წინ არგენტინელთა „რეიტინგმა“ დაბლა ჩამოინაცვლა — 1:16.

ლონდონელ ბუკმეკერთა ეს შეფასება სავსებით გაიზიარა არგენტინის ნაკრების ლიდერმა დიეგო მარადონამ: „სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ახლა უფრო სუსტად ვთამაშობთ, ვიდრე იტალიის, ბრაზილიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები, — თქვა მან. — ამიტომაც იმაზე გვიხდება ზრუნვა, რომ მერვეფინალს მივაღწიოთ. ის, რაც ჩემპიონატის დაწყების წინ გარანტირებულად მიგვაჩნდა, ახლა ხელახლა მოსაპოვებელი შეგვექნა.“

სპორტი

იტალიური ფიესტა

ფეხბურთელთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებას მასპინძელთა გუნდმა — ურუგვაიმ მიაღწია. მასპინძლების — იტალიელი ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა 1934 წელს მეორე ჩემპიონატიც. იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა დროზე დაიჭირა თადარიგი და გადაიბირა რამდენიმე სამხრეთამერიკელი „ვარსკვლავი“, მაგრამ მისი შანსები საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც იტალიაში საცხოვრებლად გადავიდა არგენტინელი მონტი. ეს დიდი შენაძენი იყო.

იტალიელებს ბედმა გაუღიმა იმითაც, რომ სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ავსტრიელთა დაუმარცხებელი „ვუნდერტიმის“ („საოცრება გუნდის“) კარიერის დასასრული. მალე იტალიელებს კიდევ ერთი პოტენციური მეტოქე ჩამოსცილდა — პირველივე კალენდარულმა მატჩებმა ცხადყვეს, რომ გერმანელთა სიძლიერე მხოლოდ ფაშისტური პროპაგანდის ნაყოფი იყო და „წმინდა არიელთაგან“ შემდგარი გუნდი მასპინძლებს ვერ ერევითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

ფეხბურთის ისტორიკოსთა რწმენით მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის გვირგვინი იყო იტალია — ესპანეთის შეხვედრა. ესპანელები, რომელთა შორის თამაშობდნენ „ბასკი ვირტუოზები“ (სილაურენი, ირარაგორი, ლანგარა, რეგეირო, გოროსტისა) და რომელთა კარს ლეგენდარული რიკარდო ზამორა იცავდა, არ შეძრკენ გამარჯვებას მოწყურებული მასპინძლების წინაშე და 120-წუთიანი ბრძოლა ფრედ — 1:1 დაამთავრეს. იტალიელებმა საბოლოოდ ეს ბრძოლა მაინც მოიგეს, მაგრამ მეორე დღეს, განმეორებით შეხვედრაში, წინა თამაშში მიღებული ტრავმების გამო მოედანზე ვეღარ გამოვიდნენ ვერც ზამორა, ვერც ირარაგორი, ლანგარა და გოროსტისა.

ფინალური მატჩი ჩეხოსლოვაკიასთან შედარებით უინტერესო გამოდგა და დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 2:1. ჩემპიონის სამშობლომ ურუგვაიზე არანაკლები ზარ-ზეიმით აღნიშნა საუკარელი გუნდის წარმატება. მუსოლინიმ (დუჩემ) მსოფლიო ჩემპიონებს თვითონ გადასცა მედლები „სპორტული მამაცობისთვის“, ფიატის ფირმამ კი ფინალის ყველა მონაწილე ავტომანქანებით დაასაჩუქრა.

• • •

სურათზე: პირველ რიგში (მარცხნიდან) — ბუაიტა, მეაცა, შიავიო, ფერარი, ორსი; დგანან — კომბი, მონტელეო, ალემანდი, ფერარი IV, მონტი, ბერტოლინი.

იტალიური კალეიდოსკოპი

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი სულ ერთი კვირაა დაიწყო, იტალიის კლუბების სელექციონერები კი უკვე ახლა აქტიურად საქმიანობენ საუკეთესო ფეხბურთელთა გადასაბირებლად.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, „კალიარის“ საფეხბურთო კლუბმა 3 წლით კონტრაქტი გააფორმა ურუგვაის ნაკრების 20 წლის ფორვარდ დანიელ ფონსეკასთან, თუმცა ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის დ. ფონსეკას ჯერ არ ჰქონდა ნათამაშევი მსოფლიო ჩემპიონატზე.

იტალიის სხვა კლუბის „პარმას“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ გუნდმა მოლაპარაკება დაამთავრა საბჭოთა ფეხბურთელის ალექსანდრე ზავაროვის „იუვენტუსიდან“ შესყიდვის თაობაზე. ა. ზავაროვი შემავალი სეზონიდან „პარმაში“ გადინაცვლებს.

• • •

ბრაზილიელი პელე ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონია. 1958 წელს იგი სულ 17 წლისა და 8 თვისა იყო. ყველაზე ხანდაზმულია 1982 წლის ჩემპიონი — იტალიელი მეკარე დინო ძოფი, მსოფლიო ჩემპიონობა მან 40 წლისა და 4 თვისამ მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში 4 ფეხბურთელმა ითამაშა ორი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში.

მონტი 1930 წელს გამოვიდა არგენტინის გუნდში, 1934 წელს კი იტალიისაში. სანტა-მარიამ 1954 წელს ურუგვაელთა რიგებში ითამაშა, 1962 წელს კი ესპანეთის ღირსებას იცავდა. ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში 1954 წელს უნგრეთის ნაკრებში გამოდიოდა, ხოლო 1962 წელს — ესპანეთისაში. და, ბოლოს, ალტაფინი 1958 წელს ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდა, 1962 წელს კი იტალიელთა ღირსებას იცავდა.

მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო 1950 წელს ბრაზილიისა და ურუგვაის ფეხბურთელთა ფინალურ მატჩს, მაშინ რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე 175 ათასი კაცი მოვიდა.

• • •

● **იტალიის** ლიგის დებიუტანტი „ტორინო“ უკვე შეუდგა მომავალი სეზონისათვის მზადებას. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს.— მონდონიკო. უცხოელთა დუეტს — შკორო-მიულერს ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის“ წამყვანი ნახევარმცველი რაფაელ მარტინ ვასკესი დაემატა. გამორიცხული არაა, რომ შკოროს ნაცვლად გუნდში მოვიდეს ბელგიის ნაკრების მეკარე მიშელ პრიუდომი.

● **ტურინის** „იუვენტუსში“ დიდი ცვლილებებია. გუნდის მწვრთნელად იმუშავებს ჯიჯი მიიფრედი, რომელიც აქამდე „ბოლონიას“ ხელმძღვანელობდა. შემადგენლობაში არიან: ბაჯო („ფიორენტინა“) დი კანიო („ლაციო“), ჰასლერი („კიოლნი“, გფრ). მომდინარეობს მოლაპარაკება ბრაზილიელ მცველ ალდაირთან („ბენფიკა“, პორტუგალია) და შვედ ნილსონთან („მალმიო“).

წარმოგიდგენთ მონაწილეებს • „ბ“ ჯგუფი

ბრაზილია

შვეიცია

კოსტა-რიკა

შოტლანდია

თასი — „შევარდენის“ ჭაბუკებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა მხოლოდ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებით, მისი „მოვლა-პატრონობით“ არ იფარგლება. ქართულ ფეხბურთს, უპირველესად, რეზერვი ესაჭიროება. იმედის მომცემი, ნიჭიერი ახალგაზრდობა, რათა ასე ნანატრ დამოუკიდებელ ჩვენს ფეხბურთს ლიბერ გამოეცალოს და მტრის გასახარად სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ. სწორედ ამ მიზნით, ამ სულისკვეთებით იმართება ყველა საფეხბურთო შეჯიბრება ჩვენში.



სურათზე: თბილისის „შევარდენის“ ჭაბუკთა გუნდი.

კიდევ ერთი საინტერესო ტურნირის ჩატარება ითავა ფეხბურთის ფედერაციამ — რესპუბლიკის ეროვნული თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე თექვსმეტმა უძლიერესმა ჭაბუკთა (1975-1976 წელს დაბადებულნი) გუნდმა მოიყარა თავი. დაძაბული, საინტერესო ბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ფინალისტები — გაგრის საფეხბურთო სკოლის (დირექტორი — გიორგი სიჭინავა) კოლექტივი და თბილისის პროფკავშირების გუნდი „შევარდენი“.

შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. დამატებითი პენალტების სერიაში კი, თბილისელთა მეკარის დათო კინწმარიშვილის საუკეთესო თამაშის წყალობით, გამარჯვება „შევარდენს“ ხვდა — 4:2. აღსანიშნავია, რომ „შევარდენის“ გუნდი არსებობის სულ ორ წელს ითვლის და ამ ხნის განმავლობაში არაერთი წარმატება მოუპოვებია.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელები არიან ოთარ გიგოლაშვილი და იუზა წილოსანი.

ლევან ჯავახიშვილი.

ადგილი კი შევინარჩუნეთ....

ვერა და ვერ დაიწია კრიზისს თავი თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდმა, რომელიც წელსაც საკმაოდ მოკრძალებულ მიზანს ისახავს — როგორმე შეინარჩუნოს ადგილი უმაღლეს ლიგაში.

სწორედ „მზის ქვეშეთში“ ადგილის მფლობელთა ვინაობა უნდა გაერკვია საკავშირო გადასასვლელ ტურს, რომელიც თბილისის ცენტრალურ საწყლოსნო-სპორტულ კომპლექს „ვერეში“ ჩატარდა. უმაღლესი ლიგის აუტსაიდერებს — თბილისისა და ალმა-ათის დინამოელებს, სევასტოპოლისა და ბაქოს წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდებს შეემატნენ პირველ ლიგაში გამარჯვებული კოლექტივები— მინსკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა, ვოლგოგრადის „სპარტაკი“ და ყაზანის „სინთეზი“.

პირველი ლიგის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა კაუნასის „ბანგამ“, ჩვენთვის გასაგები მიზეზის გამო, უარი განაცხადა შესარჩევ მატჩებში მონაწილეობაზე. ასე რომ, საბოლოოდ ზემოჩამოთვლილი შვიდი კოლექტივი ეცილებოდა ერთმანეთს უმაღლესი ლიგის საგზურს.

პირველი შეხვედრა ჩვენმა დინამოელებმა ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ გამართეს. პირველი ორი პერიოდი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა და საყაიმო ანგარიშით დამთავრდა. მესამე პერიოდში თბილისელებმა მოადუნეს ყურადღება, ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა მეკარე გიორგი კერესელიძემ და სტუმრები დაწინაურდნენ. უკანასკნელ პერიოდში ჩვენი თავდამსხმელების ზუსტმა ტყორცნებმა მაინც იხსნა წაგებული მატჩი — 6:6. ასე დამთავრდა ეს მეტად დაძაბული, საინტერესო ორთაბრძოლა.

მომდევნო ტურის მატჩში ჩვენი წყალბურთელები ალმაათელ თანაკლუბელებს შეხვდნენ. შეხვედრა თბილისელებმა საკმაოდ კარგად დაიწყეს და დიმიტრი რამიშვილის საუცხოო თამაშის წყალობით დაწინაურდნენ ორი ბურთით, მაგრამ ალმაათელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და შეხვედრის დარჩენილი დრო თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მართალია, შეხვედრის უკანასკნელ წუთამდე თბილისელები მატჩს ერთი ბურთის სხვაობით იგებდნენ, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს მისი გაქვითვა და შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 9:9.

მესამე ტურში დინამოელებმა კვლავ ფრედ დაამთავრეს მატჩი სევასტოპოლის შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის სპორტული კლუბის კოლექტივთან, — 8:8. ფრედ დამთავრებული სამი მატჩის შემდეგ ჩვენი წყალბურთელები გამარჯვების წყურვილით აღვსილნი გამოვიდნენ ბოლო ადგილზე მყოფ ყაზანის „სინთეზთან“ საბრძოლველად. თბილისელებმა ამ დღეს მართლაც კარგად ითამაშეს და დამაჯერებლად დაამარცხეს მეტოქე — 10:7. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სანდრო ბითაძემ და გიორგი ზამბახიძემ. ამ გამარჯვების შემდეგ „დინამო“ ფაქტიურად ინარჩუნებდა ადგილს უმაღლეს ლიგაში. თბილისის ტურის მორიგი მატჩები 7 ივნისს უნდა გამართულიყო, მაგრამ ეს დღე, მოგეხსენებათ, საქართველოში გლოვის დღედ იყო გამოცხადებული, ამიტომ შეხვედრები მეორე დღეს შედგა, როცა „დინამო“ ბაქოს კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდს ხვდებოდა. ბაქოელმა მეზღვაურებმა ვერაფერი გააწყვეს თბილისელ თავდამსხმელებთან, რომელთა ზუსტმა ტყორცნებმა გამარჯვება მოუტანა „დინამოს“ — 15:11.

ტურის უკანასკნელ მატჩში თბილისელებმა მინსკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის კოლექტივს უმასპინძლეს. ეს შეხვედრა არაფერს არ წყვეტდა, რადგან დინამოელებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ უმაღლესი ლიგის საგზური, თბილისელებმა ძალები მაინც არ დაზოგეს და წინა შეხვედრის ანგარიშით (15:11) დაამარცხეს მეტოქე. საბოლოოდ, თბილისელთა გარდა უმაღლეს ლიგაში დარჩნენ ალმა-ათის „დინამო“, რომელმაც ჩვენს თანამემამულეთა მსგავსად 20 ქულა მოაგროვა, შესაბამისად 19 და 17 ქულა აქვთ სევასტოპოლის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდს და ვოლგოგრადის „სპარტაკს“. თბილისის ტურის ბოლო ორი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: შზწფ (სევასტოპოლი) — უსდს (მინსკი) — 9:3, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — შზწფ (სევასტოპოლი) — 12:16, კწფ (ბაქო) — „სინთეზი“ (ყაზანი) — 10:13.



ანდრია კარბელაშვილი,

ქალთა ნაკრებ[illegible]

თითქმის სამი ათეული წელიწადი იმუშავა ფოთის ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლად. ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი აღუზარდა საქართველოს ნაკრებს. დღენიადაგ ახლის მაძიებელი, ქალბატონი ქეთევანი იმთავითვე ქართული ხელბურთის სრულფასოვან რეზერვზე ფიქრობდა. მის ირგვლივ მუდამ შემოკრებილი იყო ნიჭიერ გოგონათა და ჭაბუკთა მთელი პლეადა. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ფოთელი ხელბურთელები თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში. გოგონათა გუნდმა ქეთევან გაგულიას ხელმძღვანელობით საკავშირო ახალგაზრდული პირველობა მოიპოვა ლიტვაში, საიდანაც გამარჯვებულმა „ფაზისელებმა“ მშობლიურ ქალაქში დიდი თახი და ოქროს მედლები ჩამოიტანეს. იმავე წელს გუნდმა როსტოვში საკავშირო კონსტიტუციის თახიც მოიპოვა. გარდა ამისა, ახალგაზრდა ფოთელ ხელბურთელებს 60-70 წლებში არაერთხელ მოუპოვებიათ მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადების ჩემპიონობა.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მწვრთნელი, სპეტაკი, გულიხსმიერი, მოხიყვარულე ადამიანი — იყო ხახალხო განათლების წარჩინებული, ქალთა შორის საქართველოში პირველს მიენიჭა დამსახურებული მწვრთნელის წოდება ხელბურთში.

ნაცნობ-მეგობრებს, მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს არახოდეს დაავიწყდებათ ხაყვარელი ქეთო მასწავლებლის ნათელი სახე.

საქართველოს სპორტსახკომი, ფოთის სპორტკომიტეტი, ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.

ოსტატების კანდიდატთა მონაწილეობით

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ვაჟთა პირად პირველობაში 16 მოჭადრაკე იბრძოდა. მათ შორის 5 ოსტატობის კანდიდატი იყო. დანარჩენი კი პირველთარიგოსნები. შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ უძლიერესი ექვსეული საკავშირო გუნდურ პირველობაზე თამაშის უფლებას იღებდა.

შესანიშნავად ითამაშა ოსტატობის კანდიდატმა ავთანდილ ქაჩლიშვილმა, რომელმაც 14 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. II-III ადგილები 12,5-12,5 ქულით გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა გივი ფარეხელაშვილმა და იოსებ მანგასარიანმა. უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი გივი ფარეხელაშვილს მიეკუთვნა. IV ადგილზე გავიდა გივი ბერძენიშვილი — 12 ქ. V-VI. ნიკოლოზ ლომიძე და სულიკო კალხიტაშვილი — 11,5-11,5.

რაჩიკ კარტაშიანი,
შეჯიბრების მთავარი მდივანი-მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რიგგარეშე ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ!

საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რიგგარეშე ყრილობა გაიხსნება 1990 წლის 22 ივნისს 14 საათზე ჰადრაკის სასახლეში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №37).

დელეგატების რეგისტრაცია დაიწყება 12 საათზე.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

„სპორტპროგნოზი“

25-ე ტირაჟის პროგრამა (24 ივნისი)

					პროგნოზი
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)					
1. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)	24.VI	20	70		10
2. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)	24.VI	30	40		40
3. „ლოკომოტივი“ (გორკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი)	24.VI	50	40		10
4. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დინამო“ (ხოხლომი)	24.VI	50	40		10
5. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „ტირასპოლი“ (ტირასპოლი)	24.VI	30	50		20
6. „დინამო“ (სტავროპოლი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი)	24.VI	50	40		10
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)	24.VI	60	30		10
8. „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	24.VI	10	80		10
9. „შინიკი“ (იაროსლავლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)	24.VI	60	30		10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა) დასავლეთის ზონა					
10. „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ვოლინი“ (ლუცკი)	24.VI	50	40		10
11. „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (ბრესტი)	24.VI	20	70		10
12. „ნივა“ (ტერნოპოლი) — ასკ (ოდესა)	24.VI	10	30		60
სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში, ქალები, I ხუპერფინალი					
13. „სპარტაკი“ (კიევი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი)	24.VI	60	20		20

„ბარსელონა“ ჩემპიონია

კალათბურთში ესპანეთის ჩემპიონატის სუპერფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ბარსელონა“ და „ჰუვენტუდ ბადალონა“. ჰუვენტუდის წარმატება გასაკვირი არ უნდა იყოს, რ. კორაჩის თასის გათამაშებაში გამარჯვება ამ გუნდის ძალაზე მიგვანიშნებს.

ესპანეთის ჩემპიონატის მთავარი სენსაცია ნახევარფინალში სახელგანთქმული მადრიდის „რეალის“ წარუმატებლობა იყო. ძალზე ძნელი გასახსენებელია ქვეყნის პირველობის ფინალი, რომელშიც ეს ტიტულოვანი კლუბი არ მონაწილეობდა.

ფინალური სერია „ბარსელონას“ უპირატესობით წარიმართა. პირველი ორი მატჩი ბარსელონაში მასპინძლების გამარჯვებით აღინიშნა 102:91, 94:92. განსაკუთრებით დრამატულ და უკომპრომისო ხასიათს ატარებდა განმეორებითი შეხვედრა, რომელშიც ადგილობრივი პრესის აზრით, მასპინძლები დამარცხებისგან მსაჯებმა „იხსნეს“.

მესამე მატჩი ბადალონაში გაიმართა. როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, თანაბარი თამაში მხოლოდ თხუთმეტი წუთი იყო. 40:39 წინ მასპინძლები იყვნენ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს ხუან ანტონიო სანეპიფანიოს ჩინებული თამაშის შემდეგ სტუმრებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და პირველი ტაიმი ათი ქულით მოიგეს — 53:43. მეორე ტაიმში „ბარსელონას“ ხელიდან არ გაუშვია ინიციატივა და ოცი ქულის — სხვაობით გაიმარჯვა — 107: 87. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო სან-ეპიფანიო (23 ქულა) და ნორისი (17, 14-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს), დამარცხებულთა შორის კი ჯორდი ვილე ამპა (29) და ხუან ანტონიო მონტერო (17).

მერაბ კალანდაძე.



თბილისის ეროვნული სტადიონი

(ა. წერეთლის გამზ. №2)

ფეხბურთი

16 და 20 ივნისს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

16 ივნისი

„იბერია“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო)

20 ივნისი

„იბერია“ (თბილისი) — „ბურია“ (ლანჩხუთი)

მატჩების დასაწყისი 20 საათზე

მატჩებზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში:

16 ივნისის თამაშზე 1 4, 15 და 16 ივნისს; 20 ივნისის მატჩზე — 18, 19 და 20 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ორგანიზაციებში — 15 ივნისს.

1 ივნისით დათარიღებული ბილეთები ძალაშია 16 ივნისის მატჩზე, 5 ივნისით დათარიღებული და ლატარიის მე-9 ტირაჟის ბილეთები ძალაშია 20 ივნისის მატჩზე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები ლ. სარალიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779